



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ სასამართლოს HUDOC მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre (www.supremecourt.ge). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the Court's database HUDOC.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
მეოთხე სექცია

საქმე „კონიგი სლოვაკეთის წინააღმდეგ“

საჩივარი №39753/98

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

20 იანვარი, 2004

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემდეგ. იგი შესაძლოა დაექვემდებაროს სარედაქციო გადასინჯვას.

საქმეზე კონიგი სლოვაკეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრატზა, (*Nicolas BRATZA*) თავმჯდომარე

ბ-ნი მ.პელონპაა (*M. PELLONPÄÄ*),

ქ-ნი ვ.სტრაჟნიცკა (*Mrs V. STRÁŽNICKÁ*)

ბ-ნი რ.მარუსტე (*Mr R. MARUSTE*)

ბ-ნი ს.პავლოვსჩი (*Mr S. PAVLOVSCHI*)

ბ-ნი ლ.გარლიცკი (*Mr L. GARLICKI*)

ბ-ნი ჯ.ბორეგო ბორეგო (*Mr J. BORREGO BORREGO*), მოსამართლეები,

და ბ-ნი მ.ობოილი (*M. O'BOYLE*), სექსიის რეგისტრატორი,

იმსჯელა რა განმარტებით 2003 წლის 2 და 16 დეკემბერს, 2003 წლის 16 დეკემბერს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1.საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№39753/98) სლოვაკეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც 1997 წლის 19 მაისს, სლოვაკეთის მოქალაქემ, ბატონ ერიხ კონიგმა (*Mr Erich König*) წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში (შემდგომში „კომისია“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“), ადრე მოქმედი 25-ე მუხლის საფუძველზე.

2.განმცხადებელს, სასამართლოს წინაშე წარმოადგენდა ბატონი მ. კუზმა (*Mr M. Kuzma*), რომელიც საადვოკატო საქმიანობას ეწევა კოსიჩეში (*Košice*). . სლოვაკეთის ხელისუფლებას (შემდგომში „მოპასუხე სახელმწიფო“) თავდაპირველად წარმოადგენდა ბატონი პ.ვრსანსკი (*Mr P. Vršanský*), ხოლო 2003 წლის 1 აპრილიდან, ბატონი პ. კრესაკი (*Mr P. Kresák*).

3.განმცხადებლის მტკცებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ მიიღო გადაწყვეტილება 1997 წლის 24 თებერვალს მის მიერ გაკეთებულ განაცხადზე წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ.

4.საჩივარი გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას. (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სექციის შიგნით, საქმის განმხილველი პალატის (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) შემადგენლობა განისაზღვრა სასამართლოს რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

- 5.2001 წლის 1 ნოემბერს, სასამართლომ შეცვალა მისი სექციების შემადგენლობა (სასამართლოს რეგლამენტის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), წინამდებარე საქმე განსახილველად გადაეცა ახლად დაკომპლექტებულ მეოთხე სექციას. (სასამართლოს რეგლამენტის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)
6. 2003 წლის 13 მაისი გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი ნაწილობრივ დასაშვებად გამოაცხადა.
- 7.განმცხადებელმა და მოპასუხე სახელმწიფომ წარადგინეს წერილობითი შენიშვნები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით.(სასამართლოს რეგლამენტის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

ფაქტები

I.საქმის გარემოებები

- 8.განმცხადებელი დაიბადა 1970 წელს. იგი სასჯელს იხდის ილავას (*Ilava*) ციხეში.
- 9.1995 წლის 17 ოქტომბერს, იგი დააკავა პოლიციამ , როგორც ტაქსის მძღოლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი. განმცხადებლის მიმართ დაწიყო სისხლისსამართლებრივი დევნა და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა.
10. კოსიჩეს რეგიონალურ სასამართლოში საქმის მთავარი მოსმენა გაიმართა 1997 წლის 24 თებერვალს. განმცხადებელმა თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა, *inter alia*, რომ ის უნდა გათავისუფლებულიყო პატიმრობიდან. იმავე დღეს კოსიჩეს რეგიონალურმა სასამართლომ მას მსჯავრი დასდო მკვლელობასა და იარაღის უნებართვო ტარებაში და მიუსაჯა პატიმრობა 12 წლისა და 6 თვის ვადით. განმცხადებლის მოთხოვნა გათავისუფლების შესახებ არ ასახულა არც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში და არც სასამართლო სხდომის ოქმში. ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, განმცხადებელი რჩებოდა წინასწარ პატიმრობაში სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
- 11.1997 წლის 25 აპრილსა და 14 ივნისს, განმცხადებელმა გაასაჩივრა რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება.
- 12.წერილში, რომელიც თარიღდება 1997 წლის 12 მაისით, განმცხადებელმა კოსიჩეს რეგიონალური სასამართლოს თავმჯდომარეს შეატყობინა, რომ 1997 წლის 24 თებერვალს წინასწარი პატიმრობიდან მისი გათავისუფლების შესახებ წამოყენებული მოთხოვნა კვლავ რჩებოდა ძალაში.

13. 1997 წლის 2 ივლისს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, იმავე დღეს საბოლოოს გახდა რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც განმცხადებელი დამნაშავედ სცნო.

14. კოსიჩეს რეგიონალური სასამართლოს თავმჯდომარემ და იუსტიციის სამინისტრომ 1997 წლის 29 ოქტომბერსა და 1998 წლის 25 მარტს, განმცხადებლის საჩივრის პასუხად, აღნიშნეს, რომ 1997 წლის 24 თებერვალს, კოსიჩეს რეგიონალურ სასამართლოში გამართული ზეპირი მოსმენის დროს წამოყენებულ ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღება არ მომხდარა.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

15. 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებული უფლებამოსილია შეიტანოს განაცხადი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. ასეთი განაცხადი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული. განაცხადის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ბრალდებულს შეუძლია მისი განახლება შესაბამისი გადაწყვეტილების საბოლოოდ გამოცხადებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი განაცხადი ეფუძნება განსხვავებულ მიზეზებს (საფუძვლებს).

სამართალი

I. კონვენციის მე-5 მუხლის 4-ე ნაწილის სავარაუდო დარღვევა

16. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სლოვაკეთის ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა არ განიხილეს 1997 წლის 24 თებერვლის საჩივარი მისი გათავისუფლების შესახებ. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილს, რომელიც აცხადებს:

„ყველა ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაკავების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას თუ დაკავება უკანონოა“

17. მთავრობის განცხადებით, განმცხადებელმა 1997 წლის 24 თებერვალს წამოაყენა მოთხოვნა გათავისუფლების შესახებ. ამავე დღეს, პირველი ინსტანციის სასამართლომ

იგი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა პატიმრობა. მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რეგიონალური სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ განმცხადებლის მიერ შეტანილი საჩივარი. მთავრობის აზრით, 1997 წლის 24 თებერვლის შემდეგ, განმცხადებლის პატიმრობა ექცევა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებში, კერძოდ, იგი წარმოადგენს „კანონიერ პატიმრობას... შესაბამისი კომპეტენციის მქონე სასამართლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე“, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ადვილობრივი კანონმდებლობის მიხედვით განმცხადებელი ამ პერიოდში, კვლავ წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. მოპასუხე სახელმწიფომ ხაზი გაუსვა იმას, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის ნორმები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც კანონიერად აღეკვეთა თავისუფლება, შესაბამისი კომპეტენციის მქონე სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობის შემდეგ. შესაბამისად, მან დაასკვნა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს განმცხადებლის საქმესთან მიმართებაში, რომელიც გამომდინარეობს 1997 წლის 24 თებერვალს კოსიჩეს რეგიონალური სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან.

18. განმცხადებლის მტკიცებით, მას გათავისუფლების შესახებ განაცხადი გაკეთებული ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. ნებისმიერ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისი დამნაშავედ ცნობის შემდეგ, იგი კვლავ იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. დაპატიმრების შესახებ გამოტანილი განაჩენის ძალაში შესვლამდე, მას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლება ჰქონდა შეეტანა განაცხადი გათავისუფლების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განხილულიყო. შესაბამისად, განმცხადებელმა დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაში, დასაშვებია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება და მისი განაცხადის განუხილველად დატოვებით მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია აღნიშნული ნორმა.

19. სასამართლო აღნიშნავს, მაშინ, როცა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილში განსაზღვრული *Habeas Corpus*-ის გარანტიები ვრცელდება ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაზე, იმ ვალდებულებათა შინაარსი, რომლებიც კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ეკისრება წევრ სახელმწიფოს, არ შეიძლება იყოს იდენტური ყველა ვითარებაში ან ყველა კატეგორიის პატიმრობასთან მიმართებაში. (*იხილეთ, X. v. the United Kingdom, judgment of 5 November 1981, Series A no. 46, p. 22, § 52*). კერძოდ, როდესაც ეროვნული სასამართლო სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ, მას სასჯელის სახით შეუფარდება თავისუფლების აღკვეთას ფიქსირებული ვადით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გარანტიები ინკორპორირდება აღნიშნულ განაჩენში (*იხილეთ Waite v. the United Kingdom, no. 53236/99, § 56, 10 December 2002*).

20. წარმოდგენილ საქმეში, კოსიჩეს რეგიონალურმა სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ სცნო ორი დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ფიქსირებული ვადით. თუმცა რეგიონალურ სასამართლოს არ განუხილავს (და ეს არც გამხდარა სადაო მხარეებს შორის) განაცხადი განმცხადებლის გათავისუფლების შესახებ, რომელიც გაკეთდა სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. აღნიშნულ განაცხადზე შესაბამისი გადაწყვეტილების არ არსებობის პირობებში, განმცხადებელი კვლავ რჩებოდა წინასწარ პატიმრობაში, ისეთი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე განსხვავებულ გარემოებებში იქნა მიღებული.

21. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გარანტიები ინკორპორირებულია კოსიჩეს რეგიონალური სასამართლოს 1997 წლის 24 თებერვლის განაჩენში მისი გამოტანის მომენტიდან. აღნიშნულს ადგილი ჰქონდა მხოლოდ 1997 წლის 2 ივლისს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად სცნო სააპელაციო საჩივარი და რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება გახდა საბოლოო. უფრო მეტიც, კოსიჩეს რეგიონალური სასამართლოს თავმჯდომარისა და იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, განმცხადებლის 1997 წლის 24 თებერვლის მოთხოვნაზე არ ყოფილა მიღებული არანაირი გადაწყვეტილება.

22. ვინაიდან, კოსიჩეს რეგიონალური სასამართლოს მიერ 1997 წლის 24 თებერვალს გამოტანილ განაჩენსა და უზენაესი სასამართლოს 1997 წლის 2 ივლისის საბოლოო გადაწყვეტილებას შორის არსებული ვადა აღემატება ოთხ თვეს, არ შეუძლება მიჩნეული იქნეს, რომ დაკმაყოფილებულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დაუყოვნებლივი განხილვის კრიტერიუმი. შესაბამისად, სასამართლო აცხადებს, რომ წინამდებარე საქმეში ადგილი ჰქონდა აღნიშნული ნორმის დარღვევას.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

23. კონვენციის 41-ე მუხლი აცხადებს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი რეპარაციის შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს მიაკუთვნებს სამართლიან დაკმაყოფილებას“

24. განმცხადებელი თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ მისი განსჯა მოხდა თვითნებურად და აუცილებელი იყო დანაშაულის თავიდან გამოკვლევა ახალი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით იმისათვის, რომ მას დაესაბუთებინა საკუთარი უდანაშაულობა.

25. სასამართლომ აღნიშნა, რომ მას არ გააჩნდა უფლებამოსილება, აღესრულებინა განმცხადებლის მოთხოვნა, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, გავლენას არ ახდენს

2013 წლის 13 მაისს საქმის დასაშვებობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილ საქმის განხილვის ფარგლებზე.

26. განმცხადებელმა აგრეთვე მოითხოვა კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის და სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება.

(ა) ზიანი

27. განმცხადებელმა მოითხოვა 1, 000, 000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის. მისი განცხადებით, მის მიმართ წარმართულმა სისხლისსამართლებრივმა დევნამ, რომელსაც შედეგად მოჰყვა მისი დამნაშავედ გამოცხადება და ამ პროცესის კონტექსტში მისი უფლებების დარღვევა, მნიშვნელოვნად დააზიანა მისი ღირსება და რეპუტაცია.

28. მოპასუხე ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არ არსებობდა კავშირი კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის სავარაუდო დარღვევასა და იმ ზიანს შორის, რომელიც განმცხადებლის მტკიცებით მას მიაღდა.

29. სასამართლომ განაცხადა, რომ მან დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის პროცედურული დარღვევა, თუმცა არსებითი დარღვევა დადგენილი არ ყოფილა. საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის პროცედურული დარღვევის დადასტურება საკმარისი იყო განმცხადებლის მორალური ზიანის სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის.

(ბ) სასამართლოს ხარჯები

30. განმცხადებელი, რომელმაც ევროპის საბჭოსაგან მიიღო 355 ევრო მისი საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, ითხოვდა დამატებით 228 ევროს, რომელიც შეესაბამებოდა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეულ დამატებით ხარჯებს.

31. მოპასუხე სახელმწიფოს განცხადებით, აღნიშნული მოთხოვნა იყო უსაფუძვლო, რამდენადაც განმცხადებელს არ წარუდგენია მისი დასაბუთებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

32. მიიღო რა გადაწყვეტილება სამართლიანობის საწყისებზე, სასამართლომ განმცხადებელს ევროპის საბჭოს მიერ სამართლებრივი დახმარების სახით გადაცემული თანხის გარდა, დამატებით გადასცა 200 ევრო.

(გ) საურავი

33. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო:

1. ექვსი ხმით ერთი წინააღმდეგ აცხადებს, რომ აღნიშნულ საქმეში მოხდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევა

2. ერთხმად აცხადებს, რომ კონვენციის დარღვევის დადგენა წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას იმ მორალური ზიანისათვის, რაც განმცხადებელს მიაღდა.

3.ექვსი ხმით ერთი წინააღმდეგ აცხადებს, რომ:

ა) მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია წინამდებარე გადაწყვეტილების, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ გამოცხადებიდან სამი თვის ვადაში განმცხადებელს დამატებით გადაუხადოს 200 (ორასი) ევრო სასამართლოს ხარჯების დასაფარავად, გარდა ევროპის საბჭოს მიერ სამართლებრივი დახმარების სახით უკვე მიღებული 355 (სამასორმოცდათხუთმეტი) ევროსი. თანხის გადახდა უნდა მოხდეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ფულად ერთეულში კონვერტირების გზით, რომელიც განხორციელდება თანხის გადახდის დღეს არსებული ვალუტის კურსის შესაბამისად.

ბ) სამთვინი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოაღნიშნულ თანხას საურავის პერიოდის განმავლობაში დაერიცხება ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი პროცენტი, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

4. ერთხმად უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

გადაწყვეტილება შედგენილია ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდა წერილობით 2004 წლის 20 იანვარს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად.

მაიკლ ობოლე
რეგისტრატორი

ნიკოლას ბრატუა
სასამართლოს თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე ბორეგო ბორეგოს განსხვავებული მოსაზრება.

მოსამართლე ბორეგო ბორეგოს განსხვავებული მოსაზრება
(თარგმანი)

განმცხადებელი 16 თვის განმავლობაში იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი. პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმართული განხილვებისას, ბრალდებულმა მისი სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამოყენებისას *inter alia* წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება მოითხოვა. იმავე დღეს კოსიჩეს რეგიონალურმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც განმცხადებელს მიესაჯა პატიმრობა 12 წლისა და 6 თვის ვადით.

პალატის წევრთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ „კოსიჩეს რეგიონალურმა სასამართლომ არ განიხილა განაცხადი განმცხადებლის გათავისუფლების შესახებ, რომელიც გაკეთდა სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე (აღნიშნული ფაქტი არ გამხდარა სადაო მხარეებს შორის)“ და რომ „აღნიშნულ განაცხადზე შესაბამისი გადაწყვეტილების არ არსებობის პირობებში, განმცხადებელი კვლავ რჩებოდა წინასწარ პატიმრობაში, იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნა განსხვავებულ გარემოებებში სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე“. შესაბამისად, უმრავლესობამ დაასკვნა, რომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით (იხილეთ პარაგრაფები 21 და 22) მოხდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევა.

ვწუხვარ, რომ არ შემძლია დავეთანხმო პალატის წევრთა უმრავლესობის მსჯელობას.

ჩემი აზრით, სასამართლოს განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნა სასამართლო მოსმენის დღეს და რომლის საფუძველზე, განმცხადებელი გამოცხადდა დამნაშავედ და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თორმეტი წლისა და ექვსი თვის ვადით, წარმოადგენს შესაბამის რეაგირებას გათავისუფლების შესახებ განაცხადზე, რომელიც მან გააკეთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამოყენებისას.

განსხვავებით არსებული უფლებებისგან, როგორიცაა მაგალითად თავისუფლების უფლება, პროცედურასა და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს გააჩნია ინსტრუმენტული ხასიათი. აღნიშნულ საქმეში იმის დადგენა, რომ რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს განმცხადებლის მოთხოვნის პასუხს, ჩემი აზრით, იქნება იმ ფაქტის ეჭვქვეშ დაყენება, რომ ინსტრუმენტი შექმნილია კონკრეტული მიზნის მისაღწევად და არ შეიძლება იგი თავად გადაიქცეს მიზნად. პროცედურისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების განცალკევება სამართლებრივი რეალობისაგან ეწინააღმდეგება პროცედურული ინსტრუმენტების ბუნებას და უდაოდ ართულებს სასამართლოთა ყოველდღიურ საქმიანობას.

აქედან გამომდინარე, მე მივიჩნევ, რომ აღნიშნულ საქმეში არ მომხდარა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევა.